შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.898)

12-19 ოქტომბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველო

„ეტალონი“ ცოდნის ზეიმია - დედოფლისწყარომ „ეტალონი მოსწავლე“ გამოავლინა

„ვფიქრობ, ადამიანმა თვითონ უნდა გამოიმუშავოს საჭირო თვისებები, რაც პროფესიონალს სჭირდება“...

ღვთისმსახურება 100 წლის შემდეგ

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ კახის რაიონის სოფელ ქოთოქლოში აკურთხა ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი, რომელიც ასიწლის განმავლობაში იყო უმოქმედოდ, სადაც ბოლო წირვა ჩატარდა 1920 წელს. ტაძარში ღვთისმსახურებას აღასრულებს დეკანოზი პეტრე (ხუმარაშვილი), რომელიც ამ დღეს დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით. სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულ მრევლთან ერთად წირვას ესწრებოდა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ პატარაძე.

იუნესკომ თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოაცხადა

იუნესკომ საქართველოს დედაქალაქი — თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოაცხადა

განცხადება ამის შესახებ იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულაიმ გააკეთა.

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის მოსაპოვებლად თბილისის მერიამ და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ განაცხადი საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მხარდაჭერით მიმდინარე წლის მაისში წარადგინეს.

C M Y K

ქართული სამღვდელოებისთვის დავით გარეჯის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიები გაიხსნება

11 ოქტომბრიდან ქართული სამღვდელოებისთვის დავით გარეჯის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიები გაიხსნება. - შესაბამისი განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ მთავრობის ხდომაზე გააკეთა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ილჰამ ალიევთან აბსოლუტურად ღია საუბარი შედგა მიმდინარე პრობლემებზე.

"ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიდით ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. ყველას მოგვეხსენება, რომ სამწუხაროდ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არის საზღვრის მონაკვეთები, რომლებიც არ არის დადგენილი, ეს არის ჩვენი პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა და 25 წელია ეს პრობლემა ვერ მოგვარდა. ბატონმა პრეზიდენტმა ალიევმა ბრძანა, რომ ჩვენ გვაქვს ისტორია და გეოგრაფია, რომელიც გვაკავშირებს. რა თქმა უნდა, მე სრულად შემიძლია ამას დავეთანხმო, რამეთუ მეგობრებს და პარტნიორებს ისტორია და გეოგრაფია კი არ ყოფს, არამედ, აკავშირებს. სწორედ ამ საფუძველზე, ამ ფუნდამენტზე ჩვენ გვქონდა აბსოლუტურად ღია საუბარი მიმდინარე პრობლემებზე და როგორც შედეგი შემიძლია გითხრათ, რომ ხვალიდან ქართული სამღვდელოებისთვის კომპლექსის ფარგლებში არსებული ეკლესიები გაიხსნება და შესაბამისად, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ამ მიმართულებით უნდა გვქონდეს სერიოზული პროგრესი. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ორი ქვეყნის ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით, ისტორული მემკვიდრეობის და ისტორიის გათვალისწინებით. ეს არის ჩვენი მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი. ასევე მინდა მოგმართოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს გვმართებს პასუხისმგებლობა და სიფრთხილე ყოველი ნაბიჯის, სიტყვის კონტექსტში და ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი არ ნიშნავს ფსევდოპატრიოტულ გამოხტომებს, გამონათქვამებს და გაუაზრებელ ნაბიჯებს. ეს არის მიდგომა, რომელიც ამ მიმართულებით უნდა გვქონდეს და უნდა გავატაროთ", - განაცხადა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე.

მთავრობა მეღვინეებთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის ახალ ფორმატს შექმნის

ჩვენ არ გვჭირდება ხანგრძლივი საუბრები იმაზე, რომ რაღაც გეგმები დავსახოთ, კონკრეტული პრობლემატიკა, კონკრეტული გადაჭრის გზები, მხოლოდ ეს არის შეხვედრის მიზანი, - ამის შესახებ გიორგი გახარიამ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, მეღვინეებთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის ახალი ფორმატი შეიქმნება.

„ჩვენ ასევე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ რთველზე, რადგან მიუხედავად იმისა, რომ გამოვძვერით, როგორც ჩანს არ იყო მარტივი რთველი და არ მიმდინარეობდა ერთმნიშვნელოვნად. დარჩენილია გარკვეული საკითხები და რას ვაკეთებთ, ამაზეც ვისაუბრებთ. გვესმის, რომ ბაზრების დივერსიფიკაცია და ხარისხზე მუშაობა ყველაზე მნიშვნელოვანია. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 9 მილიონ ლარზე მეტია ჩადებული მარკეტინგული პროგრამებისთვის, ამის მიზნობრიობაც საფიქრალია, თუ როგორ გავაკეთოთ და სად მივმართოთ. მეღვინეობა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი, არ არის მხოლოდ ეკონომიკა, ეს ჩვენი კულტურული იდენტობის ნაწილია და მინდა, ყოველგვარი შებოჭვის გარეშე, ღიად მითხრათ, სად არის პრობლემები, სად გჭირდებათ დახმარება და შემდეგ მე გეტყვით, სად ვხედავთ გარღვევების საშუალებას, სად შეიძლება ცოტა უფრო ეფექტურებიც ვიყოთ", - განაცხადა გიორგი გახარიამ.

შალვა თადუმაძე - ბოდიში, რომ ამ ქვეყანაში დავიბადე

ბოდიში, რომ ამ ქვეყანაში დავიბადე, ასეთი განათლების სისტემა იყო, - ამის შესახებ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა შალვა თადუმაძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსმენისას განაცხადა, სადაც მან კიდევ ერთი განმარტება გააკეთა საკუთარ დიპლომთან დაკავშირებით.

როგორც თადუმაძე ამბობს, ის პასუხისმგებლობას საბჭოთა განათლების კანონზე ვერ აიღებს.

„არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ამბობს, რომ არ მაინტერესებს სად იყო გახსნილი სასწავლებელი. სადაც იყო გახსნილი, იქაც სახელმწიფომ დაუშვა, მათ შორის მიწისქვეშა გადასასვლელშიც უნივერსიტეტის გახსნა. სადაც იყო გახსნილი, იქ მივედი, რა პროგრამითაც მასწავლიდნენ, იმ პროგრამით ვისწავლე, რა სახის დიპლომიც მომცეს, ის დიპლომი წამოვიღე. მე ამის შესაძლებლობა მქონდა კანონით და ვერ ავიღებ იმაზე პასუხისმგებლობას, 1997 წლამდე საბჭოთა განათლების კანონი რომ მოქმედებდა ამ ქვეყანაში", - აღნიშნა თადუმაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ პრეცედენტულია პარლამენტში გენერალური პროკურორის მოსმენა.

„მგონია, რომ კარგია საზოგადოებამ დაინახა, რომ გენერალური პროკურორი თავს აძლევს უფლებას ამ ფორმატში გასცეს ყველაზე კრიტიკურ კითხვებზე პასუხი, ისე რომ გენერალურ პროკურორს საკანონდმებლო რეგულაციებით ამის ვალდებულება არ გააჩია. თუმცა, ამ ფორმატში მე ვალდებული ვარ გამოვიდე და ვისაუბრო ყველა კითხვაზე და გაიხსენეთ შემთხვევები, რომელ დეპუტატს შეეძლო მოქმედი გენპროკურორისთვის ისეთი შეურაცხყოფები მიეყენებინა, რომელიც მე აქ მოვითმინე. ეს თმენის ვალდებულება ჩემს დადებით მხარეზე მეტყველებს", -განაცხადა თადუმაძემ.

ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველო

ბოლო წლებში მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი რადიკალურად შეიცვალა, თუკი მანამდე სუპერსახელმწიფოდ მხოლოდ აშშ მოიაზრებოდა, ახლა გეოსტრატეგიული პოზიციები სამ წამყვან ძალაზე გადანაწილდა. მსოფლიო წესრიგში მეორე მთავარი ქვეყანა ჩინეთია, რომელიც ბირთვული-სტრატეგიული იარაღით და სოციალურ-გეოპოლიტიკური კონცეფციით ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა, რუსეთმა კი ამ სამეულში სამხედრო პოტენციალით და გეოპოლიტიკური ამბიციებით დაიმკვიდრა თავი. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ სამპოლუსიანი გეოპოლიტიკური წესრიგი 2014 წლიდან დაიწყო, მისი თქმით, ამ პროცესში მეოთხე მთავარ ცენტრად შესაძლოა ევროკავშირიც გვეხილა, თუმცა, ბრექსიტის პროცესმა ლიდერობას გარკვეულწილად ხელი შეუშალა".

"მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი შეიცვალა, თანაც კარდინალურად, ადრე თუ იყო უნიპოლარული, ანუ ერთი პოლიტიკური გავლენის ცენტრი და ჰიპერსახელმწიფო - აშშ, დღეს ეს სიტუაცია აღარაა. 2014 წლის შემდეგ ამან ცვლილება დაიწყო და ფაქტიურად ტრიპოლარული, ანუ სამპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი მივიღეთ. აქ მთავარი აქტორები აშშ, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არიან, ამ მიმართულებას ევროკავშირიც უახლოვდება, მაგრამ ბრექსითის პროცესმა ის დაამუხრუჭა, რომ ის ერთიანი გეოპოლიტიკური აქტორი და მსოფლიო წესრიგის გავლენიანი მეოთხე სუპერცენტრი ყოფილიყო. ბრექსიტმა, მასში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა პროცესებმა და მის შიგნით არაერთგვაროვანმა პოზიციებმა, ევროკავშირი შეაფერხა. ჩინეთს აქვს საკმაოდ სერიოზული მისწრაფებები, მათ შორის ბირთვული სტრატეგიულ ტრიადაში, ბოლოს მან აჩვენა საკმაოდ სერიოზული სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება, ანუ ბალისტიკური რაკეტები Dფ-17, რომელსაც 15 ათას კილომეტრ სივრცეზე შეუძლია ბირთვული ქობინების გადატანა. ჩინეთს ასევე აქვს 1000-ზემეტი ბირთული ქობინი, იგი მეოთხე ტიპის სამხედრო ტექნოლოგიებზე გადავიდა, როგორიცაა: დამრტმელი შეიარაღება და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, ის ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიოში მეორე უძლიერესი სახელმწიფოა, ჩინეთის ამბიციები გაიზარდა, შეიმუშავა სოციალურ-გეოპოლიტიკური კონცეფცია, როგორიცაა „ერთი გზა-ერთი სარტყელი", ამ 400-მლრდიანი სტრატეგიის მეშვეობით ჩინეთი გახდა მსოფლიო პოლიტიკის გავლენის ცენტრი და გახდა ის სახელმწიფო,რომელსაც მსოფლიო პოლიტიკურ დღის წესრიგში სიტყვა ეთქმის.

„ამერიკაზე, გასაგებია, თუ რატომაც რჩება სუპერ სახელმწიფოდ მსოფლიო პოლიტიკაში, თუმცაღა, ტრამპის პოლიტიკამ ქვეყანას ეს პოზიციები თანდათან დააკარგვინა. რუსეთის ფედერაცია, რომელმაც, ჩვენდა სამწუხაროდ თანდათან უკვე გაზარდა ამბიციები, თავისი გავლენის ცენტრები, მისი გეოპოლიტიკური ამბიციები აღწევს ლათინო ამერიკას, აფრიკას, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, იგი საკმაოდ გააქტიურდა წყნარი ოკეანის მიმართულებითაც. ჩვენდა სამწუხაროდ, მისი სამხედრო პოტენციალი იზრდება, განსაკუთრებით, ბირთვული სტრატეგიულ შეიარაღებზაე ზებგერით იარაღის შექმნით. რუსეთს უკრაინაში და საქართველოში ჰიბრიდულ ომს აწარმოებს, იგი ცდილობს, თავის ჰეგემონობა განახორციელოს ბალტიისპირეთში,

შავი ზღვის და კასპიის ზღვის მიმართულებით და გავიდეს საოკეანო სივრცეებისკენაც. სირიაში მისი ჩართულობა ნიშნავს, რომ მას უკვე გაუჩნდა გლობალური პოლიტიკური ამოცანები, იგი ეკონომიკურად აშშ-ს და ჩინეთს ჩამორჩება, თუმცა სამხედრო ტექნოლოგიებით და გეოპოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე, მესამე მსოფლიო გავლენის ცენტრი გახდა" - აცხადებს მაისაია. მისივე თქმით, მსოფლიო სამპოლუსიანი წესრიგი საქართველოსაც შეეხო, რაც ანაკლიის პორტის მოვლენებზე აისახა. ანაკლიის პორტან დაკავშირებული მოვლენები პირდაპირ კავშირშია მსოფლიო წესრიგის ცვლილებასთან, ანაკლიაში სამივე გავლენის ცენტრის: აშშ-ს, ჩინეთის და რუსეთის ინტერესები დაუპირისპირდა, საქართველო აღმოჩნდა ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორია, სადაც სამი ცენტრი ერთმანეთს უპირისპირდება".

მიუნხენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციამ და ექსპერტებმა ჯერ კიდევ შარშან დაადასტურეს, რომ მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი სამპოლუსიანია, ასევე, ტენდენციებიც უკვე იკვეთება. „უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან, მათ შექმნეს ნატოს ანალოგიური გლობალური ტიპის გაერთიანება, როგორიცაა შანჰაის თანამშრომლობის ორანიზაცია, რომელიც გეოპოლიტიკურად ნატოს საწინააღმდეგო გაერთიანებაა. საქართველოს მოუწევს ამ რეალობის გათვალისწინება, ჩვენ თუ კიდევ ისტორიაში ჩავრჩით, ეს არაფერი კარგს არ მოგვიტანს" - აცხადებს მაისაია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი კორნელი კაკაჩია ამბობს, რომ დროთა განმავლობაში მსოფლიოში გამოიკვეთნენ ახალი ძალები, რომლის შედეგადაც მრავალპოლუსიანი პოლიტიკური წესრიგი მივიღეთ. მსოფლო პოლიტიკაში რომ არსებული წესრიგი იცვლება, ეს ახალი აღარაა, რაც თანდათან უფრო ნათლად გამოჩნდა. ეს დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რომელიც ცივი ომის შემდეგ მოხდა, როდესაც დასავლეთმა ცივ ომში გამარჯვება ნაადრევად ირწმუნა და ამის შედეგად შენარჩუნებული იქნებოდა ლიბერალურ წესრიგზე დამყარებული მშვიდობა, ეს სწორი არ გამოდგა და თანდათან გამოიკვეთა გლობალური ახალი მიზიდულობის ძალები - ჩინეთი, რუსეთი და კიდევ სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ასევე ცდილობენ, რომ დასავლეთს კონკურენცია გაუწიონ. თვითონ დასავლეთიც ბოლო პერიოდში ორ ნაწილად გაიყო, თუ მანამდე არსებობდა ერთი დასავლეთი ახლა უკვე ლაპარაკია, თუ რამდენადაა ეს დასავლეთი, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ ნატოში, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორისაც გარკვეული დაძაბულობა არსებობს. ეს მდგომარეობა გლობალურ მოთამაშეებს ხელ-ფეხს უხსნის, რომლებიც ვაკუუმის შევსებას ცდილობენ, რომელიც დასავლეთის გაურკვევლობის პერიოდში შეიქმნა, ამას ჩვენ ყველგან ვხედავთ, სირიაში, შორეულ აღმოსავლეთში თუ სხვაგან, სადაც ახალი გეოპოლიტიკური ძალები ცდილობენ დაუსაბუთონ მსოფლიოს, რომ ისინი ახალი ძლიერი აქტორები არიან. "ამით მსოფლიო თანდათან მულტიპოლარული წესრიგისკენ გადადის, სადაც იქნება არა ერთი ჰეგემონ სახელმწიფო, როგორიც აშშ იყო, არამედ სხვადასხვა თანაბარწონიანი აქტორები იქნებიან" - აცხადებს კაკაჩია. მისივე აზრით, ამ მსოფლიო გაურკვევლობის დროს საქართველო უნდა ეცადოს, რომ სტრატეგიული პრიორიტეტები დაისახოს, რაც, მისივე თქმით, რთული პროცესი იქნება. საქართველომ ამ გლობალური გაურკვევლობის პერიოდში უნდა ეცადოს, რომ ჩამოაყალიბოს თავისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და ხალხზე დაყრდნობით შეიმუშავოს მისთვის ყველაზე მისაღები ფორმულა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა, განვითარდეს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო და გახდეს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, რომლებისკენაც ბოლო ათეული წლების განმავლობაში მივილტვოდით. "ბუნებრივია, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ, ფაქტია, რომ საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს, ამ მხრივ მეტი სიფრთხილე მართებს. მსოფლიო პოლიტიკურ დღის წესრიგზე დავა დღესაც მიმდინარეობს, აკადემიკოსებისა და მკვლევარების ნაწილი ამბობს, რომ მსოფლო მულტიპოლარულ წესრიგისკენ დაიძრა, თუმცა, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, აშშ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ჰეგემონობას. თუმცა, ფაქტია, რომ გარკვეული სახელმწიფოები ცდილობენ, შეერთებული შტატების ჰეგემონობა თანდათან დააკნინონ. ახლა ჩვენ გარდამავალ პერიოდში ვართ, როდესაც უნდა ჩამოყალიბდეს ახალი წესრიგი, ჯერ არავინ არ იცის როგორი სახით იქნება, თუმცა ფაქტია, რომ მსოფლიოში რაღაცრაღაცეები იცვლება" - განაცხადა კაკაჩიამ.

„ეტალონი“ ცოდნის ზეიმია – დედოფლისწყაროს „ეტალონი მოსწავლე“ გამოავლინა

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ გამორჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა, სადაც “დედოფლისწყაროს ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა.

ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა სამუკაშვილი**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მიხეილ ბახუტაშვილი, დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ეთერ დავითაშვილი**, დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **თამარ თამაზაშვილი**, სკოლის დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა ხაზი გაუსვა „ეტალონის“ მნიშვნელობას და სურვილი გამოთქვა, რომ ინტელექტ-ჩემპიონატი ტელეეკრანს დაუბრუნდეს:

„მართლაც, „ეტალონი“ ეროვნული პრეოქტია. ეს არის ახალგაზრდებისთვის დიდი სიხარულისა და მოტოვაციის მიმცემი. შესაბამისად, მოსწავლეები პროექტთან ერთად დიდ ცხოვრებისეულ ნაბიჯებს დგამენ. „ეტალონის“ მთელ შემოქმედებით ჯგუფს წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებ. ასევე, ვიმედოვნებ, რომ „ეტალონი“ ტელეეკრანს დაუბრუნდება“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა **მიხეილ ბახუტაშვილმა** წიგნიერების როლზე ისაუბრა და ახალგაზრდებს მოუწოდა , რომ აქტიურად ჩაერთონ „ეტალონის“ პროექტებში:

„ეტალონი“ დიდებული პროექტია, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებასა და მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას ემსახურება. ყველას ვურჩევდი ბევრი იკითხონ, რათა ზოგადი განათლება მათ სამომავლო სიძნელეების დაძლევაში დაეხმარება. მივესალმები „ეტალონს“ და მას უდიდეს წარმატებას ვუსურვებ. მოვუწოდებ ყველა ახალგაზრდას, რომ აუცილებლად ჩაერთონ ეტალონის პროექტებში“.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ეთერ დავითაშვილმა „ეტალონსა“ და Izrune.ge -ში მუნიციპალიტეტის მოსწავლეების ჩართულობაზე ისაუბრა:

„ეტალონი“ ახალგაზრდების მამოტივირებელია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები „ეტალონსა“ და izrune.ge -ში აქტიურად არიან ჩართულები. შედეგად კი ბავშვებს მოტივაცია აუმაღლდათ. მსურს, მადლობა გადავუხადო მასწავლებლებსა და „ეტალონის“ შემოქმედებით ჯგუფს. განსაკუთრებული მადლობა ბატონ გოჩას, იმისთვის, რომ უამრავ სიახლეს გვთავაზობს “.

დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** „ეტალონის“ ავტორის დამსახურებაზე ისაუბრა:

„ეტალონი“ საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტია. ბავშვები მთელი პროექტის განმავლობაში აქტიურად არიან ჩართულნი და ეს ყველაფერი ბატონი გოჩას დამსახურებაა. იგი საოცრად რთავს ბავშვებს პროცესებში და იყოლიებს აუდიტორიას. ყოველივე კი ძალიან კარგ ბიძგს აძლევს მოსწავლეებს. მსურს, გამოვყო izrune.ge, რომელიც არაჩვეულებრივია. ინოვაციური პროექტი ყველა მოსწავლეს თანაბრად აძლევს საშუალებას, რომ შეავსონ ტესტები და ცოდნის დონე გაიუმჯობესონ“.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ხუნაშვილმა ისაუბრა იმ სიხარულზე, რომელიც „ეტალონმა“ მათ სკოლას მიანიჭა:

„მიჭირს საუბარი ძალიან ემოციური დღეა. ნამდვილად, „ეტალონი“ ცოდნის ზეიმია. პროექტი ბავშვების განვითარებას ემსახურება. ოთხი წლის წლის ჩვენი სკოლის შენობა დაიწვა და დღემდე, მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენ „ეტალონში“ გავიმარჯვეთ. ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა, მოტივირებულმა ბავშვებმა, ჩვენ ეს შევძელით. ასევე, პროექტში ჩართულ თოთოეულ მოსწავლესა და ინტელექტ-ჩემპიონატის ორგანიზატორს დიდ წარმატებას ვუსურვებ“.

„დედოფლისწყაროს ეტალონი მოსწავლის“ ტიტული ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის მოსწავლემ ჯაბა ჯამასპიშვილმა მოიპოვა.

„როდესაც კითხვების გაცემა დავასრულე, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე“ გავხდებოდი. მოპოვებული ტიტულის ტარება ჩემთვის დიდი პატივია. მე „ეტალონმა“ ბევრი რამ მომცა და ვურჩევ ყველას, რომ ამ უნიკალურ პროექტში მიიღონ მონაწილეობა“ - ამბობს გამარჯვებული.

შეჯიბრში გამარჯვებულმა „დედოფლისწყაროს ეტალონი მოსწავლის“ ტიტული და საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

„ეტალონი“ 2019-2020 სასწავლო წელსაც ტრადიციულად საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ესტუმრება და „ეტალონ მოსწავლეებს“ადგილზევე გამოავლენს. კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობს: პირველი ეტაპზე სკოლებში იმართება შესარჩევი ტესტირებები, მეორე ეტაპი – ადგილზე, მუნიციპალიტეტსა თუ თვითმმართველ ქალაქში „ეტალონის“ შემოქმედებითი გუნდის სტუმრობასა და ღონისძიების ჩატარებას გულისხმობს. „ეტალონის“ მიმდინარე სეზონი კი სასწავლო წლის ბოლოს გრანდიოზული ფინალით დაგვირგვინდება.

ჯილდო პირველი, ჯილდო უკანასკნელი...

დედოფლისწყაროში მასწავლებლის პროფესიული დღე აღნიშნეს, სადაც 80-ზე მეტი მასწავლებელი დაჯილდოვდა. მადლობის სიგელებითა და საჩუქრებით გააცილეს 58 პენსიონერი პედაგოგი, რომელთაც სამინისტროს უპრეცედენტო შეთავაზებით ისარგებლა, ორი წლის ხელფასი ჯილდოდ მიიღო და წლევანდელი სასწავლო წლიდან სკოლას დაემშვიდობა. ღონისძიებაზე დასახელდა 15 მოქმედი მასწავლებელი, რომელთაც სტატუსი შეეცვალა და წამყვანი, თუ მენტორი მასწავლებლის წოდება მიიღო, რის გამოც ხელფასები გაეზარდათ. ამავე დღეს ყველა სკოლამ თავად გამოავლინა წარმატებული პედაგოგები, რომლებიც ასევე მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა და საჩუქრად საინტერესო წიგნები გადასცა. ამ დღეს ზოგიერთმა პირველი ჯილდო მიიღო, ზოგმა კი-უკანასკნელი...

მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** ღონისძიებაზე: „მასწავლებელი, შუქი სულისა“ მოწვეულ პედაგოგებს, სიგელებთან ერთად, საგანგებოდ დედოფლისწყაროელი პედაგოგებისთვის ჩამოსხმული საფერავის ღვინო სახელწოდებით „ღვაწლმოსილი პედაგოგი“ დაურიგა.

კულტურის ცენტრის ორგანიზებით და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით მათთვის საგანგებოდ მომზადდა საზეიმო და ემოციური საღამო.

პედაგოგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი ღონისძიების შემდეგ პენსიაში გასვლა მათთვის გაცილებით იოლი იქნება. ისინი კმაყოფილებას გამოხატავდნენ იმაზეც, რომ ჩვენს ქვეყანაში პირველად მოხდა, რომ ხელისუფლებამ პენსიაში გასულ პედაგოგებს საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდოები გადასცა.

„ბედნიერები და ძალიან მოხარულები ვართ ასეთი პატივისცემისთვის. დიდი მადლობა დედოფლისწყაროს მერიას, კულტურის ცენტრს, საგანმანათლებლო რესურსცენტრს. 62 წელი გავატარე სკოლაში, ახლა კი ვისარგებლე განათლების სამინისტროს შეთავაზებით და სკოლა დავტოვე, მივიღე ფულადი ჯილდო. მოხარული ვარ, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამაც და რაიონის ხელმძღვანელებმაც ამხელა ყურადღება გამოიჩინეს, დააფასეს ჩვენი ღვაწლი, ასეთი ლამაზი გაცილება მოგვიწყვეს და ღირსეულად გაგვაცილეს.”ამბობდა ხორნაბუჯის სკოლის ყოფილი პედაგოგი **ნელი ბეგიაშვილი**.

„დიდი მადლობა ღირსეული და ლამაზი საღამოსთვის, რომელიც, მერწმუნეთ, არასოდეს დაგვავიწყდება. ასეთი მასშტაბური საღამო დედოფლისწყაროს ნამდვილად არ ღირსებია. დედოფლისწყაროელ მასწავლებლებს ჯერ არ ღირსებიათ ასეთი პატივით გაცილება. ძალიან დიდი მადლობა საღამოს ყველა ორგანიზატორს, დედოფლისწყაროს მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს, ჩვენს დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს და კულტურის ცენტრის დირექტორს ილია მარტყოფლიშვილს. მინდა ყველას ვთხოვო - არ დაგვივიწყოთ, ყოველთვის გაიხსენეთ თქვენი მასწავლებლები და სკოლაში გატარებული წლები,“ - შთაბეჭდილებებს გვიზიარებს **ნანა შანშიაშვილი-ჯანიკაშვილი**.

„მართლაც საოცარი დღე იყო, ძალიან მიხარია, რომ ყველამ ერთად, ასეთი პატივით გავაცილეთ ამაგდარი პედაგოგები და შრომა დავუფასეთ. მასწავლებლობა ეს ძალიან დიდი გმირობაც არის და ამავე დროს დიდი პატივიც. 44 წელია სკოლაში ვარ, უზომოდ მიყვარს ჩემი საქმე. მასწავლებლის პროფესია იმიტომ ავირჩიე, რომ უზომოდ მიყვარს ბავშვები, მოსწავლეებთან ურთიერთობა მაბედნიერებს. თუ ბავშვი არ გიყვარს, ვერ იქნები მასწავლებელი. ყოველთვის მეყვარება ბავშვები და ახალგაზრდები,“ - აღნიშნა პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა **ლალი აბაშიძემ**.

ირაკლი შიოლაშვილი, (პარლამენტის წევრი): „პირველად აღვნიშნეთ მასწავლებლის დღე ამ მასშტაბით, კულტურის სახლის დარბაზი სავსეა და ყველამ ერთად მადლობა ვუთხარით იმ პედაგოგებს, რომლებმაც სკოლა დატოვეს. მინდა დავპირდე მასწავლებლებს, რომ ამიერიდან დედოფლისწყაროში მათი პროფესიული დღის აღნიშვნა ტრადიციად იქცევა და ყოველ წელს გვექნება შესაძლებლობა მათ მოვეფეროთ. მინდა ხაზი გავუსვა მთავრობის აბსოლუტურად სწორ მიდგომას, სამადლობელ პოლიტიკას, რომელიც წელს განვახორციელეთ ღვაწლმოსილი პედაგოგების ღირსეულად გასაცილებლად. ამას გარდა, მადლობა ვუთხარით წარმატებულ პედაგოგებსაც, რომლებიც თავად სკოლებმა შეარჩიეს და გამოავლინეს. მეც მადლობას ვეუბნები პედაგოგებს გაწეული შრომისთვის, აღზრდილი თაობებისთვის, ჩადებული დიდი ენერგიისთვის და გადაცემული ცოდნისთვის. მათ შორის ჩემს პედაგოგებს, რომლებიც ასევე სცენაზე იდგნენ და გვემშვიდობებოდნენ. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მერი): „ჩემთვის ძალიან ემოციური დღე გამოდგა. ბოლო წლებში კულტურის სახლის სცენაზე არაერთი კარგი ღონისძიება გამართულა, ამჯერად ერთერთი ყველაზე ამაღელვებელი საღამო შედგა. პროფესიულ დღესთან დაკავშირებით შევკრიბეთ ღვაწლმოსილი პედაგოგები მთელი რაიონის მასშტაბით. საპატიო სტუმრებად მოვიწვიეთ ის მასწავლებლები, რომელთაც სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში სკოლები დატოვეს. მიმაჩნია, რომ წელს პირველად უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როცა ხელისუფლებამ ღვაწლმოსილ მასწავლებლებს სკოლიდან ღირსეულად წასვლის შესაძლებლობა მისცა. ჩვენც გვინდოდა რაიონს გამოეჩინა ყურადღება და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით ერთი ლამაზი საღამო ვაჩუქეთ მათ. მადლობა გადავუხადეთ ყველაფრისთვის, იმ ათწლეულებისთვის, იმ დიდი ღვაწლისთვის, რომელიც შეუფასებელია და რომელიც უშურველად გასცეს ჩვენი მუნიციპალიტეტის მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. ვფიქრობ, ეს აუცილებელია, რადგან ჩვენ უნდა შეგვეძლოს მადლობის თქმა ერთმანეთისთვის. მოქმედი პედაგოგების დაჯილდოვებაც სტიმული იქნება მათი საქმიანობის უფრო ხარისხიანად გასაგრძელებლად. ეს დღე პედაგოგებს კიდევ ერთხელ დააფიქრებს იმაზე, რა როლი და წვლილი აქვთ მათ ამ რაიონის ცხოვრებაში.“

5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა, რომელიც 1994 წლიდან მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება.

EURAXESS და საქართველო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ზვიად გაბისონიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო წრეებს მათთვის EURAXESS-ში გაწევრიანებით მიღებული შესაძლებლობები გააცნო. სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს საქართველოს EURAXESS-ში გაწევრიანების დეტალები გააცნეს და იმ შესაძლებლობების შესახებ ისაუბრეს, რომლებიც საქართველოს მეცნიერების ერთიან ევროპულ სივრცეში გაწევრიანებით თითოეულ ქართველ მეცნიერს გაუჩნდება.

„მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ ბრიუსელში ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის Euraxess-ის წევრი გახდა. ეს გულისხმობს იმას, რომ ქართველ მეცნიერებს ეხსნებათ გზა იმ რესურსებზე, რომლითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები. მათთვის ხელმისაწვდომი ხდება უმსხვილესი ევროპული ფონდები. ქართველ მეცნიერებს გაუჩნდათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუციებთან, განახორციელონ ერთობლივი პროექტები.“ - განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელმა ზვიად გაბისონიამ კი საქართველოში EURAXESS-ის ოფიციალური წარმომადგენლობის შესახებ ისაუბრა, რომელიც ქართველ მეცნიერებს დაეხმარება ყველა იმ ტექნიკური დეტალის გაცნობაში, რაც EURAXESS-ის სერვისებით სარგებლობისთვის არის აუცილებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოს სახელით აფხაზ მეცნიერებსაც ექნებათ.

„როგორც იცით, ცოტა ხნის წინ დაფუძნდა EURAXESS-ის წარმომადგენლობა საქართველოში - EURAXESS Georgia. ჩვენ ინტენსიური შეხვედრები დავიწყეთ უნივერსიტეტებთან იმისათვის, რომ ქართველ მეცნიერებს პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ EURAXESS-თან, ავუხსნათ ყველა ის ტექნიკური დეტალი, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ისარგებლონ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი უზარმაზარი ბიუჯეტით - თქვენ იცით, რომ ჯამური ბიუჯეტი დაახლოებით ასი მილიარდია და EURAXESS -ის პლატფორმაზე დღეს მიმდინარე კონკურსების ბიუჯეტი დაახლოებით ორი მილიარდ ევროს შეადგენს. პასიურ რეჟიმში დარეგისტრირება უკვე შესაძლებელია, ხოლო იანვრიდან ამოქმედდება ახალი ვებგვერდი - EURAXESS Georgia, რაც მეცნიერებს საშუალებას მისცემს ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში. აფხაზ მეცნიერებს, კონკურსში მონაწილეობის მიღება საქართველოს დროშის ქვეშ შეეძლებათ“ -განაცხადა ზვიად გაბისონიამ.

საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ის წევრი ოფიციალურად მიმდინარე წლის 24 სექტემბერს გახდა. შესაბამის დოკუმენტს ხელი ბრიუსელში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა,** შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა **ზვიად გაბისონიამ** და ევროპული კომისიის კვლევებისა და ინოვაციების გენერალური დირექტორის მოადგილე **პატრიკ ჩაილდმა** მოაწერეს.

თუმცა, საინტერესოა იმის სიღრმისეულად გაგებაც, თუ რას წარმოადგენს EURAXESS და რა სიკეთეებს მოუტანს ის ქართველ მეცნიერებს.

EURAXESS-ი, რომელიც დაფუძნებულია ევრკომისიის მიერ, სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურა და ევროპული ორგანიზაციაა. მისი მისია მკვლევრებისთვის ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნა, მკვლევართა თავისუფალი მობილობისა და მეცნიერთა კარიერული განვითარების ხელშეწყობაა. დღეისათვის EURAXESS-ში გაერთიანებულია ევროკავშირის წევრი 28 და მსოფლიოს 12 მაღალტექნოლოგიური ქვეყანა (მათ შორის, აშშ, იაპონია, ისრაელი და სხვ.). EURAXESS-ში გაწევრიანებისთანავე ქართველ მეცნიერებს ექნებათ პირდაპირი წვდომა:

- **მსოფლიოს 500-ზე მეტ საერთაშორისო და შიდა ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გრანტთან;**
- **15 000-ზე მეტ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და კვლევებით დაინტერესებულ ბიზნესორგანიზაციასთან;**
- **40-ზე მეტი ქვეყნის რამდენიმე მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსზე.**

ევროპულ პროგრამა EURAXESS-ში ქვეყნის გაწევრიანება ხელს შეუწყობს საქართველოს მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, მეცნიერთა კარიერულ განვითარებას, ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. საქართველოს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქსელის ყველა სერვისი, რომელიც ამჟამად ამ ევროპული პროგრამის წევრი ქვეყნების მეცნიერთათვის

არის ხელმისაწვდომი. პროგრამა EURAXESS-ში საქართველოს გაერთიანების შედეგად გაიზრდება შესაძლებლობები ქართველი მკვლევრების კარიერული ზრდისათვის და, ამასთანავე, გაიზრდება უცხოელი სტუდენტების დაინტერესება საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლისა და სამეცნიერო კვლევებისადმი. ასევე, EURAXESS-ში გაერთიანებული ქვეყნებისთვის საქართველო სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად ახალი მიზიდულობის ცენტრი გახდება. გაიზრდება ევროპის კვლევით სივრცეში საქართველოს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს ქართველი მეცნიერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მეცნიერებაში ინვესტიციების მოზიდვას. რაც შეეხება სამეცნიერო პუბლიკაციებს, ქართული მეცნიერებისთვის დიდი გამოწვევაა ონლაინპუბლიკაციები. „ჩვენი მეცნიერები სხვადასხვა სფეროში თავიანთ კვლევებს, პუბლიკაციებს ძირითადად ადგილობრივ ქართულენოვან ჟურნალებში აქვეყნებენ. შეუძლებელია, გაიზარდოს ქართველი მეცნიერების ციტირების ინდექსი ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო მიმართულებით, თუ გამოქვეყნებული ნაშრომები ინგლისურენოვანი არ იქნება და არ გამოქვეყნდება ხელმისაწვდომი ფორმატით, შესაბამის საერთაშორისო პლატფორმაზე. ასე რომ, თუ ასეთ პლატფორმებში, საერთაშორისო პროგრამებსა და ორგანიზაციებში არ გაერთიანდა ქართული მეცნიერება, მას მომავალი არ ექნება. მეცნიერების წარმატების გასაღები მის თანამედროვე ტექნოლოგიების პრინციპით განვითარებაშია, ეს არის ჩვენი მოდელი და იდეა. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო ბაზის, Web of Science-ის მონაცემების მიხედვით ქართველ მეცნიერებს ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი აქვთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის; უფრო მეტიც, უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემებით, ევროპაში ციტირების ინდექსის მაჩვენებლით ვართ მესამე ადგილზე, რაც დიდი მიღწევაა და ეს იმ ფონზე, როდესაც არცთუ ისე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით. ამის მიზეზი ისაა, რომ მეცნიერების საკმაო ნაწილს აქვს ენობრივი ბარიერი. მათ არ აქვთ მეთოდოლოგიური წვდომა Web of Science-ის მსგავს პლატფორმებზე. ამ გამოწვევას ქართული პლატფორმის განვითარებით უნდა ვუპასუხოთ და ამის შემდეგ მეცნიერები კიდევ უფრო ადაპტირდებიან ისეთ საერთაშორისო პლატფორმაზე, როგორიცაა Web of Science-ი.“ - აღნიშნულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ეს მოვლენა ოფიციალურად 2019 წლის სექტემბერში, ქალაქ ბრიუსელში გაფორმდა, როდესაც ხელი მოეწერა Declaration of Commitment-ს — მხარეთა მიერ მზაობის გამოხატვის დეკლარაციას და ხელშეკრულებას. „ასევე საამაყო ფაქტია, რომ ქართველ მეცნიერებს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო ბაზის, Web of Science-ის მონაცემების მიხედვით, ციტირების ყველაზე მაღალი ინდექსი აქვთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, რაც საქართველოს მეცნიერების დიდი საერთაშორისო წარმატებაა“, — განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

საქართველოს EURAXESS-ში-ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციაში გაწევრიანება ქვეყნის უდიდესი წარმატებაა; დღეს საქართველოს მეცნიერებს, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციის, ურთიერთობის პრობლემა აქვთ; როდესაც ქართველი მეცნიერი აპირებს რომელიმე საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას ან ერთობლივი სამეცნიერო კვლევის განხორციელებას, მას სჭირდება პარტნიორები უცხოეთში. თუმცა, ამ ეტაპზე, ჩვენი მეცნიერებისთვის კოლეგებთან ურთიერთობის დამყარება ვიწრო სამეცნიერო პროფილის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია. EURAXESS-ში გაწევრიანება საშუალებას მისცემს საქართველოს მეცნიერებს, მონაწილეობა მიიღონ როგორც Horizon 2020-ისა და ERC-ის (ევროპული კვლევების საბჭოს) ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში, ასევე EURAXESS-ის წევრი სახელმწიფოების (ევროკავშირში შემავალი 28 ქვეყნის, ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნების — აშშ, იაპონია, კანადა, ისრაელი და სხვა) მიერ გამოცხადებულ შიდასახელმწიფოებრივ პროექტებში. ასე რომ, საქართველოს მეცნიერებს ექნებათ საშუალება, ჩაერთონ, მაგალითად, იაპონიაში მოლეკულურ ბიოლოგიასა თუ ბირთვულ ენერგეტიკაში გამოცხადებულ კონკურსში, რაც აქამდე შეუძლებელი იყო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველ მიხეილ ჩხენკელთან ერთად გეგმავს შეხვედრას ევროკომისიის კვლევების და ინოვაციების დირექტორატის გენერალურ დირექტორთან ჟან ერიკ პაკესთან, სადაც განიხილება გეგმები სამომავლო აქტიურ ურთიერთთანამშრომლობაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქართველოს ასოცირებაზე Horizon 2020-ის შემდგომ პროექტში — Horizon Europe-ში, ქვეყნის EURAXESS-ში გაწევრიანების შემდგომ ნაბიჯებზე, რადგან ეს დინამიკური პროცესია და არა ერთჯერადი აქტი. გარდა ამისა, რუსთაველის ფონდი შექმნის EURAXESS-ის წარმომადგენლობას და EURAXESS-Georgia-ს ცენტრს; EURAXESS-ჩეორგია-ს ვებგვერდი ჩაირთვება ევროპულ პორტალზე; ეტაპობრივად შემუშავდება სამეცნიერო პოლიტიკა EURAXESS-თან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ EURAXESS-ში საქართველოს გაწევრიანების პროექტი ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით მზადდება და ამ სისტემაში გაწევრიანება ქართველ მეცნიერებს დაეხმარება, ჩაერთონ კომერციალიზებულ ევროპულ კვლევებში და მოამზადებს მათ პროგრამისთვის Horizon Europe.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, **EURAXESS-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აკადემიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, უმნიშვნელოვანესი უწოდა იმ ფაქტს, რომ მსხვილ ევროპულ ფონდებთან და გრანტებთან ქართველი მეცნიერებისთვის, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომობა ექნებათ.**

„ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს EURAXESS -ში გაწევრიანება, ეს არის კიდევ ერთი ნინგადადგმული ნაბიჯი ევროპული განათლების ერთიან სივრცეში გაწევრიანებისკენ. არსებობს ბევრი ევროპული პროგრამა, რომელებიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოსთვის. მაგალითად, Horizon2020 და მომავალი Horizon evropa. ეს არის მსოფლიოში მეცნიერების უდიდესი დამფინანსებელი ფონდები. ძალიან კარგია, რომ ბევრი ქსელური პროგრამაა საქართველოში. მათ შორის, ევროპის აკადემიის ჰაბი და EURAXESS. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ემსახურება იმას, რომ ქართველი მეცნიერებისთვის და რა თქმა უნდა მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მსხვილი ევროპული ფონდები და გრანტები” — განაცხადა თსუ-ს რექტორმა გია შარვაშიძემ თსუ-ში შეხვადრაზე.

რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ნუგზარ შავლაყაძეც მიიჩნევს, რომ EURAXESS-ში გაწევრიანება საქართველოს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს მეცნიერების ევროპული ინტეგრაციისთვის და მისი შემდგომი განვითარებისთვის. „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში შესაძლებელია ქართველი ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა, რაც ჩვენი მართლაც უნიკალური შანსია ევროსივრცეში ინტეგრაციისთვის. ეს რა თქმა, უნდა ხელს შეუწყობს მეცნიერების ნინსვლას და განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი მეცნიერების კიდევ უფრო მეტ ჩართულობას. მივესალმებით ამ სერიოზულ ნაბიჯს, რომელიც სამინისტროს მხრიდან გადაიდგა. მჯერა, ქართველი მეცნიერები დიდი მონდომებითა და ყურადღებით ჩაერთვებიან ამ პროგრამაში. უნდა გამოვიყენოთ ეს მართლაც უნიკალური შანსი და ჩვენი სახე უნდა ვაჩვენოთ მთელს ევროპულ სივრცეს.” - განაცხადა ნუგზარ შავლაყაძემ. აღნიშნულ ინფორმაციას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

„ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, რადგან რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა საქართველოს ისტორიაში პირველად მიიღო პროგრამა Horizon 2020-ის გრანტი, — ფონდი არის პირდაპირი ბენეფიციარი ამ პროგრამის — **გრანტის მოცულობა 200 000 ევროა. თუ ჩვენ EURAXESS-ის და სხვა მსგავს პლატფორმებზე ვერ მივაღწიეთ წარმატებას, ვერც Horizon 2020-ის გრანტებს მივიღებთ და ვერც ERC-ისას, შესაბამისად, ვერც სამეცნიერო ნაშრომების ხარისხი აიწევს. მეცნიერების განვითარების იდეა მაღალი დონის სამეცნიერო ნაშრომების, მათი ციტირების ინდექსის ზრდაა, ამიტომ გვჭირდება სამეცნიერო პრიორიტეტების გამოკვეთა, რომელთა მიხედვითაც დაიწყება მიზნობრივი დაფინანსება, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვა სახის დაფინანსებაც გავზარდოთ და, საბოლოოდ, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და მისი საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას შევუწყოთ ხელი.“** - ნათქვამია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ვფიქრობ, ადამიანმა თვითონ უნდა გამოიმუშავოს საჭირო თვისებები, რაც პროფესიონალს სჭირდება...

ორივე გოგონა, რომლებზეც დღეს უნდა მოგიყვეთ, თავისი აქტიური ბუნების წყალობით გავიცანი. ისინი ჯერ საჯარო სკოლაში სწავლობდნენ. გამორჩეულები იყვნენ ინტელექტუალური შესაძლებლობებითა და პიროვნული თვისებებით. სკოლა წარჩინებით დაამთავრეს და იმ ფაკულტეტებზე ჩაირიცხნენ, რომლებიც მათი ოცნებების ახდენას უკავშირდება. ანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის სპეციალობით განაგრძობს სწავლას, ნათია კი სამხატვრო აკადემიაში დიზაინერის პროფესიას დაეუფლება. ისინი დღეს გაზეთ „შირაქის“ სტუმრები არიან და ჩვენს კითხვებს პასუხობენ. რას ფიქრობენ ისინი სკოლის პრობლემებსა და საერთოდ, დღეს განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, თავიანთი პროფესიის არჩევანზე, საზღვარგარეთ სწავლის გაბრძელებასა თუ ქვეყნის მშენებლობაში შეტანილ წვლილზე, რა არის მათი ჰობი და საყვარელი ნაწარმოები ან მუსიკალური ჟანრი, ამას მათგან შეიტყობთ.

ანა ჩითინაშვილი - დღეს სკოლებში ბევრ პრობლემას ვაწყდებით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ეს ხარვეზები კონკრეტულად იმ საგანმანათლებლო დაწესებულების კი არა, მთლიანად სისტემის ბრალია. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ თუ მე რამე დამაკლდა, ეს ჩემი სკოლის აკადემიური პერსონალის ბრალია. განათლების მიღების გარდა, 12 წლის განმავლობაში ისეთ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, რომლებმაც ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს. შევიძინე მეგობრები, უამრავ პროექტსა და ღონისძიებაში ჩართვის შესაძლებლობა მომეცა, საკუთარი უნარების აღმოჩენისა და შესწავლის საშუალება მქონდა, უამრავი ტკბილი მოგონება და მომენტი დავაგროვე, მიკლედ, ცხოვრების შესანიშნავი პერიოდი შესანიშნავად გავატარე.

- ბავშვობაში რთულია ყველა მოვლენის სწორად აღქმა, ადეკვატურად გააზრება. ბევრი რამ წლების შემდეგ შეიძლება სულ სხვანაირად აღმოჩნდეს. უამრავზე გაგეცინოს, ბევრმაც დაგაფიქროს. მინდა გავიხსენო, რომ ჩემი თანატოლებისგან, და არ ვგულისხმობ მხოლოდ კლასელებს, ხშირად მიგრძვნია კონკურენცია, მათ შორის არაჯანსაღიც. ახლა როცა ამას წლების შემდეგ ვუყურებ, ვხვდები, რომ ეს ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, რადგან არასასურველი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, საკუთარ თავზე მუშაობა, შენი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასება და მრავალი სხვა რამ ბავშვობიდანვე უნდა ისწავლო. ეს ყველაფერი შემდეგ ძალიან დაგეხმარება ნებისმიერ სიტუაციაში სწრაფად და სწორად მიიღო გადაწყვეტილება.

-ბევრი ჩემი კურსელისგან უკვე მოვისმინე, რომ ბავშვობიდან ოცნებობდნენ დაუფლებოდნენ ამ პროფესიას. მე ძალიან ბევრ სფეროში წარმომედგინა თავი პატარა ასაკიდანვე, დიდი დროის განმავლობაში ჟურნალისტობაც მინდოდა, თუმცა ბოლო პერიოდში სამართლით დავინტერესდი და გადავწყვიტე, თავი ამ მიმართულებით გამომეცადა. ვფიქრობ, მაქვს ბევრი ისეთი თვისება და უნარი, რაც კარგ იურისტს სჭირდება. გარდა ამისა, სამართლისა და ჟურნალისტიკის, ამ ორი პროფესიის, გაერთიანებაც არ არის შეუძლებელი. მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე ჩაბარება გადავწყვიტე. ვფიქრობ, საქართველოში სამართლის პროფესიის დასაუფლებლად ეს ადგილი საუკეთესოა. აქ გასწავლიან ისეთი ლექტორები, რომლებიც არა მხოლოდ ამ დარგის პროფესიონალები, არამედ ის ადამიანები არიან, რომლებიც თავად ქმნიან ქართულ სამართალს.

-უმაღლეს სასწავლებელში, გარდა იმისა, რომ უმაღლეს განათლებას იღებ, ურთიერთობა გაქვს ისეთ ადამინებთან, რომლებიც არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის პროფესიონალები არიან, არამედ უშუალოდ მის შექმნაში, განვითარებაში, უკეთესობისკენ შეცვლაში იღებენ მონაწილეობას. ასეთ კვალიფიციურ ლექტორებთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა. დიახ, მე ვფიქრობ, რომ მაქვს შესაძლებლობა ვიყო პროფესიონალი ჩემს საქმეში.

-ალბათ, საქართველოში განათლების დონის ავ-კარგობის შეფასებისას მთლად კომპეტენტური ვერ ვიქნები, თუმცა, მიუხედავად არაერთი ხარვეზისა ამ სისტემაში, ვფიქრობ, რომ ხარისხიანი განათლების მიღება შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში, რადგან პროფესიონალი კადრები საკმაოდ ბევრნი არიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ თუ ადამიანს პრეტენზია აქვს იყოს წარმატებული თავის პროფესიულ საქმიანობაში, მხოლოდ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას, ლექტორების მოსმენასა და სავალდებულო ლიტერატურას კი არ უნდა დასჯერდეს, არამედ საკუთარი ძალებით, მუდმივად უნდა ეძიოს სიახლე, დამატებითი წყაროები ცოდნის დონის ასამაღლებლად, რასაც უმარტივესს ხდის ინტერნეტი. რაც შეეხება მე, ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, სწავლის გაგრძელებას ევროპაში ვგეგმავ. იქ მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით კი მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო საქართველოს განვითარებაში და ჩემი რესურსი ჩვენს ქვეყანას მოვახმარო.

-“ადამიანი ადამიანისთვის დღეა...” გურამ დოჩანაშვილი, “სამოსელი პირველი”

- საბედნიეროდ, ჩემ გარშემო ბევრი ისეთი ადამიანია, რომლის აზრიც უმნიშვნელოვანესია ამა თუ იმ საკითხზე, ასევე ჩემ ცხოვრებაზე და მისაღებ გადაწყვეტილებებზე, თუმცა, მოგატყუებთ, თუ გეტყვით, რომ არსებობენ კონკრეტული ადამიანები, რომელთა დახმარებით ვიღებ გადაწყვეტილებებს. ოჯახის წევრების, მეგობრების, ახლობლების რჩევებს ყოველთვის ვუსმენ, მაგრამ გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებ.

-იმის მიუხედავად, თუ განვითარების რომელ საფეხურს მიაღწევს სამყარო, ღირებულებები ის ფასეულობებია, რომლებიც ადამიანებს გონებაში აქვთ, მათ კი თავიდან ვერც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ვერც სხვა რამ ამოშლის. თითოეულ ადამიანს ინდივიდუალური ღირებულებები გააჩნია, ჩემთვის ესენია: თავისუფლება, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, სიყვარული, ჯანსაღი ურთიერთობები.

-ცოდნა, რწმენა, თავისუფლება.

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყოველთვის მიჭირს ხოლმე, რადგან ძალიან ძნელია ერთი კონკრეტული წიგნის გამორჩევა უამრავი შესანიშნავიდან. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ მსოფლმხედველობას ერთი წიგნის წაკითხვა მთლიანად ვერც ჩამოგიყალიბებს და ვერც შეგიცვლის. თუმცა, გეტყვით, რომ როცა პაულო კოელიოს “ალქიმიკოსი” წავიკითხე, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი ემოციების ქვეშ. ამ წიგნმა მომცა მოტივაცია, საკუთარი თავის რწმენა და დამარწმუნა, რომ ოცნებების ასრულება/მიზნების მიღწევა შეუძლებელი არასდროს, არანაირ ვითარებაში არ არის. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო გურამ დოჩანაშვილის გენიალური მოთხრობა “იგი”, რომლის წაკითხვის დროსაც ვიტირე. ამ ნაწარმოებმა პიროვნების მარადიულობასა და ინდივიდუალიზმის აუცილებლობაში დამარწმუნა. ასევე დამაფიქრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთობა.

ნათია პაპუაშვილი: სკოლამ საშუალო განათლებასთან ერთად მომცა ის მხარდაჭერა და თავისუფლება, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანისგან ვგრძნობდი და ამ ყველაფერმა ჩემი პიროვნული თვისებების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა. სკოლა არ ყოფილა მომთხოვნი და მეც არ ვაიძულებდი თავს გამეკეთებინა ჩემი მაქსიმუმი. ვისურვებდი, რომ ხარისხიანი განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება საკუთარი შესაძლებლობებისა და ცოდნის მაასიმალური რეალიზაციის.

-როცა ვიყავი დაწყებით კლასებში, ვხატავდი, ვუკერავდი თოჯინებს თანსაცმელს. უფროსები ნახულობდნენ ჩემს ნამუშევარს, მოსწონდათ და მაქებდნენ. ვფიქრობ, ის რომ ჩემი პროფესია ხელოვნებასთანაა კავშირში, გადამწყვეტ როლს მაინც გარშემომყოფთა რეაქცია განსაზღვრავს.

-ვფიქრობ, რომ ყველას საკუთარი საქმიანობა უნდა სიამოვნებდეს. მეც დავფიქრდი, რა იქნებოდა ის, რასაც სიამოვნებით დავახარჯებდი დროსა და მონდომებას. ჩემი თავი მხოლოდ ხელოვნების სფეროში დავინახე.

-მხოლოდ სასწავლებელი ვერ გაქცევს პროფესიონალად. უნდა გქონდეს შინაგანი მოწოდება და მისწრაფება იყო საქმის ოსტატი. ვფიქრობ ადამიანმა თვითონ უნდა განავითაროს თავი და გამოიმუშაოს საჭირო თვისებები, რაც პროფესიონალიზმს სჭირდება.

-წინასწარ არ მიყვარს ფიქრი იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. რა თქმა უნდა, მაქვს იმის ამბიცია, რომ საზღვარგარეთ შემეძლოს სწავლის გაგრძელება.

-ძნელია ერთი კონკრეტული გამონათქვამის გამორჩევა, მაგრამ ახლა მახსენდება ,,რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო”.

- კონკრეტული სამი სიტყვა არ არსებობს, რომელიც ჩემს ცხოვრებას განსაზღვრავს. როცა საქმე ცხოვრებას ეხება, შეუძლებელია რამეზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

- დედაჩემი არის ის ადამიანი, ვის რჩევებსაც ხშირად ვითვალისწინებ. რა თქმა უნდა, არსებობს საკითხები, რომლებზეც განსხვავებულად ვაზროვნებთ, მაგრამ ერთმანეთის გადაწყვეტილებებს ყოველთვის ვცემთ პატივს.

-უმთავრესი ღირებულება, რომელიც შეუცვლელია არის ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

-ჩემი საყვარელი წიგნია სტიგ ლარსონის ,,გოგონა დრაკონის ტატუთი”. ეს არის წიგნი გოგონაზე, რომელიც არ ნებდება საკუთარი მიზნების მისაღწევად.

-ჩემი მუსიკალური გემოვნება მუდმივად იცვლება, ჯერ კიდევ ძიების პროცესში ვარ. იყო უამრავი ჟანრი, როკი, პოპი, მძიმე მეტალი, ჰიპ-ჰოპი. დღეს ალბათ ყველაფერს ვუსმენ მეტნაკლებად.

-თავისუფალ დროს ძალიან მიყვარს სიმღერა და ასევე კულინარიული ექსპერიმენტების ჩატარება.

-აუცილებელია, რომ ყველა ადამიანი პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკუთარ საქმეს და არ ელოდოს სხვას ქვეყნის შენებაში.

ესაუბრა
ინგა ჯიოლაშვილი

-დღეს ბევრს საუბრობენ სკოლაში არსებულ პრობლემებზე, რა მოგცათ სკოლამ და რა დაგაკლოთ?

-ყველაფერი იწყება ბავშვობიდან, ამ ასაკში განცდილი დიდწილად განსაზღვრავს ადამიანის მომავალს. რას გაიხსენებდი?

-რა ფაქტორებმა განსაზღვრა თქვენი პროფესიის არჩევანი?

-როგორ გგონია, რას მოგცემს უმაღლესი სასწავლებელი, მისი დამთავრების შემდეგ იქნები პროფესიონალი?

-დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში ძნელია ხარისხიანი განათლების მიღება. თქვენ რას ფიქრობთ, გეგმავთ უცხოეთში სწავლის გაგრძელებას და კვალიფიკაციის ამაღლებას?

- საყვარელი ფრაზა...

— სამი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს შენს ცხოვრებას…

- ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, ვის რჩევასაც მუდამ ითვალისწინებდით...

-დღეს ფასეულობათა ნიველირების ეპოქაა-ასე აფასებენ ტექნიკის საუკუნეს ექსპერტები, ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოების განვითარებას სწავლობენ. თუმცა, ამის მიუხედავად, არსებობს ღირებულებები, რომლებიც შეუცვლელია. თქვენი აზრით, რომლებია ეს ღირებულებები?

- საყვარელი წიგნი ან ნაწარმოები, რომელმაც თქვენს მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა?

-როგორ მუსიკას უსმენთ?

-რა არის თქვენი ჰობი?

-როგორ გგონიათ, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ სამართლებრივ და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში ვიცხოვროთ?

მედიაცია – გამარტივებული გზაა...

სულ ცოტა ხნის წინ პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი მედიაციის შესახებ და ბევრმა ჩვენგანმა დღესაც არ ვიცით, რას ნიშნავს ეს ტერმინი, მავანთათვის იგი მედიასაშუალებებთანაც ასოცირდება სიტყვათა ომონიმური მსგავსებით, ამიტომ, გადავწყვიტეთ, უფრო დეტალურად მიგველო ინფორმაცია ახლადმიღებული კანონის თაობაზე. **გვესაუბრება იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის კერძო სამართლის სამმართველოს მრჩეველი და კანონპროექტის თანაავტორი,** სალომე ნატროშვილი:

-სამოქალაქო დავების ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოსაგვარებლად - საქართველოს უკვე აქვს კანონი მედიაციის შესახებ. საკანონმდებლო ორგანომ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.

მედიაციის წახალისებისა და მისთვის პირობების შექმნისათვის კანონი განსაზღვრავს მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მისი დაწყების, წარმართვისა და დასრულების წესებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მედიაცია სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზაა, რომელიც საშუალებას იძლევა, მოქალაქეებმა სწრაფად და მცირე ფინანსური დანახარჯით აღიდგინონ დარღვეული უფლებები. მისი დანერგვა ხელს უწყობს სასამართლოს განტვირთვას განსახილველი დავებისაგან. სასამართლოების გადატვირთულობა ხშირად ხდება საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზი, რაც საფრთხეს უქმნის სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

მედიაციის განვითარება ხელს შეუწყობს სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებას, მნიშვნელოვნად განტვირთავს რაიონულ (საქალაქო) თუ სააპელაციო სასამართლოებს და დაზოგავს სახელმწიფოს სახსრებს, რომლებიც საჭიროა როგორც მოსამართლეთა კორპუსის გასაზრდელად, ისე ყოველი სასამართლო პროცესის სრულად ჩასატარებლად.

იგი ბიზნესისთვის, ასევე, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო დავების გადაჭრისთვის არათუ უბრალოდ ალტერნატიული გზაა, არამედ უფრო მეტიც, ეს არის დავის გადაწყვეტის ბუნებრივი და უფრო მოხერხებული მეთოდი. მისი მიზანი ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაა მოკლე დროში ნაკლები ფინანსური დანახარჯით. ამავე მიზნით ფართოვდება მედიაციას დაქვემდებარებული დავების ჩამონათვალი და მას ემატება საბანკო დაწესებულებებთან დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების გარკვეული კატეგორია და სხვა ისეთი სახის დავები, სადაც ყველაზე მეტად ეფექტიანი შეიძლება იყოს მედიაცია.

მიუხედავად დავების მედიაციის გზით მოგვარების უპირატესობებისა, არსებობს ობიექტური მიზეზები, რაც ხელს უშლის მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში, კერძოდ:

- მედიაციის არაპოპულარობა და მის მიმართ უნდობლობა, რაც შესაძლოა, ამ სფეროს ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონითაც იყოს განპირობებული; მედიაციის ინტიტუტის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე და ცნობიერების ამაღლების კამპანიის უქონლობა;

- მედიატორთა კადრების ნაკლებობა – სერტიფიცირებული მედიატორების სიმცირე;

სერტიფიცირების სტანდარტისა და განგრძობადი განათლების არარსებობა;

- მედიაციის უპირატესობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა (კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა; სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა სასამართლო პროცესთან შედარებით მცირე დროში, მცირე დანახარჯებით; სარჩელის აღძვრამდე სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.);

- მედიატორთა ეთიკის სტანდარტის არარსებობა; მედიატორთა პასუხისმგებლობის სტანდარტისა და სანქციების გამართული სისტემის არარსებობა.

მედიაციის შესახებ ახალი კანონი სწორედ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავდა. კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები

- აფუძნებს მედიატორთა თვითრეგულირების ორგანოს და ქმნის მედიაციის განვითარებისათვის მყარ ინსტიტუციურ საფუძველს;

- სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის მედიატორის პროფესიის განვითარებას და მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, თვითდამკვიდრებას;

- დაადგენს სავალდებულო მოთხოვნებს მედიატორობის კანდიდატის მიმართ;

- განსაზღვრავს მედიაციის პროცედურებს (პროცესის დაწყება, მედიატორის შერჩევა, ინტერესთა კონფლიქტი და მედიატორის აცილების საკითხი, სამედიაციო მორიგების აღსრულება და სხვ.);

- განსაზღვრავს მედიატორთა მიერ ეთიკის დაცვის ვალდებულებას და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს.

- ცვლილებათა პაკეტი მომზადდა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც“. მისი მიზანი სასამართლოში მიმდინარე დავებში მორიგებით საქმეთა დასრულების პრაქტიკის წახალისება და განვითარებაა. შემოთავაზებული ცვლილებებით, იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები უარს ამბობენ მედიაციაზე და საქმის სასამართლო გადაწყვეტაზე აკეთებენ არჩევანს, მოსამართლეს შეუძლია, გამოარკვიოს მედიაციაზე უარის თქმის მიზეზები და განუმარტოს მათ მედიაციის დადებითი ასპექტები, უპირატესობები, მედიაციის წარმატებით დასრულების სამართლებრივი შედეგები და მისი აღსრულების მექანიზმები.

- გაფართოვდება მედიაციას დაქვემდებარებული დავების ჩამონათვალი და მას დაემატება, სხვებს შორის, შრომითსამართლებრივი დავები; საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანოებისა და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის, მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები, ასევე, ქონებრივი დავები განსაზღვრული ღირებულების ფარგლებში და რამდენიმე სხვა.

საკანონმდებლო ცვლილებებზე იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირის პროექტისა (EU4JUSTICE) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, „USAID/PROLOG“-ისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების („GIZ“) ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით იმუშავა. ცვლილებათა პაკეტი კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო უწყებებს, ქვეყანაში მოქმედ მედიატორთა ასოციაციებს, ამ სფეროში მომუშავე სხვა ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მიღწეული ფართო კონსენსუსის შედეგია.

აქვე აღვნიშნავ, რომ **მედიაცია არ გახლავთ ახალი მოვლენა. თავისი ბუნებით, მედიაცია ცივილიზაციის პირველსავე ნიშნების გაჩენისთანავე ჩაისახა. დაპირისპირებულმა ადამიანებმა ერთმანეთის მოკვლაზე უარის თქმა დაიწყეს თუ არა, ამ დროიდან არსებობს მედიაცია. როგორც სამართლებრივი მექანიზმი, ეს არის დავის ურთიერთშეთანხმებით, მოლაპარაკების გზით და მედიატორის დახმარებით მოგვარების საშუალება.**

2020 წლის პირველი იანვრიდან მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, ამ მარტივი და მშვიდობიანი მექანიზმით გადაჭრას სამართლებრივი დავები, რომელთა უმრავლესობას აქვს ორი განზომილება - სოციალური და სამართლებრივი. ეს უკანასკნელი საკმაოდ მარტივია მოსაგვარებლად. რაც შეეხება პირველ კომპონენტს, ის გახლავთ ხშირად დავის აღძვრის მამოტივირებელი - წყენა, დროულად ვერ შემდგარი დიალოგი.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, მედიაცია არაერთ ქვეყანაშია განვითარებული სწორედ იმიტომ, რომ ერთ და ორ სესიაში შეიძლება მარტივად და მშვიდობიანად დამთავრდეს დავა, რომელსაც წლები სჭირდება სასამართლოში.

გარდა ამისა, სასამართლოს ჰყავს მოგებული და წაგებული მხარეები. ეს ბუნერივია, გამაღიზიანებელი ფაქტორია და სოციალური თვალსაზრისით კონფლიქტს არათუ ამოწურავს, არამედ - აღრმავებს.

ცხადია, მხარისთვის დამთრგუნველია საჯარო განხილვაზე, ღია პროცესში მოსამართლის წინაშე საკუთარი პოზიციის დასაბუთება. მედიატორი სრულიად განსხვავებული როლისა და ფუნქციის მქონე პირია. ის ეხმარება მხარეებს, მოძებნონ კომპრომისი, ერთმანეთის დადანაშაულების გარეშე.

ესაუბრა
ხათუნა ბენაშვილი

უცხოელი მოქალაქეების დამკვიდრება საქართველოში

უძრავი ქონების ბაზარზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების აქტიურობა თვალსაჩინოდ მატულობს. არაოფიციალური მონაცემებით, რომელსაც სპეციალისტები ფლობენ, 2-3 წლის წინ უცხოელი მყიდველის რაოდენობა ბაზარზე 3%-ს არ აჭარბებდა, თუმცა, დღესდღეობით მათი რიცხვი გასამმაგებულია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მყიდველებსაც თუ ჩავთვლით, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია.

უცხოელები საქართველოში დამკვიდრების ან ცხოვრების ვადის გასახანგრძლივებლად უამრავ მაქინაციას მიმართავენ. ხშირ შემთხვევაში ეს პროცესი იურიდიულად გამართლებული და უხარვეზოა, მაგრამ ბევრი კანონგარეშე გზაც არსებობს. ხელისუფლებამ საფრთხე იგრძნო და პრობლემის მოგვარებას კანონმდებლობის გამკაცრებით ცდილობს, თუმცა, შეიძლება ითქვას რომ ეს ნაბიჯი ცოტა დაგვიანებულიცაა.

რა ხრიკებით ახერხებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში დარჩენას, ბინადრობის მიღებას და ყველაზე ხშირად რა ხერხი გამოიყენება?

ბინადრობის უფლების მიღებას უცხოელები საინვესტიციო ვალდებულების ზრდით ახერხებენ. საამისოდ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია ბინის ყიდვა და შემდეგში მისი გადაყიდვა კვლავ უცხოელზე, რაც ბინადრობის მიღების უმარტივესი გზაა.

მიუხედავად ამისა, როგორც გაირკვა, ყველაზე ცნობილი ხერხი ე.წ. ფიქტიური ქორწინებაა. შესაძლებელია ისიც, რომ რამდენიმე პირი თანასაკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს. ერთ-ერთი მეთოდია სტუდენტობაც. ამ მხრივ საკმაოდ დიდი არჩევანია და ახალგაზრდა უცხოელებისთვის ამ საშუალებით საქართველოში თავის დამკვიდრება ყველაზე იოლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბინადრობის მიმღებთა უმრავლესობა ღარიბი მოსახლეობაა, რომელიც საქართველოში თავის გადარჩენის მიზნით შემოდის.

	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ბინა/სახლი	სულ
რუსეთი	7835	2364	7842	18041
უკრაინა	476	222	1117	1815
სომხეთი	1117	253	421	1791
აზერბაიჯანი	1133	126	419	1678
ისრაელი	103	324	789	1216
აშშ	150	164	730	1044
საბერძნეთი	527	150	338	1015
გერმანია	149	132	556	837
ირანი	171	204	399	774
ერაყი	77	410	236	723
თურქეთი	80	127	363	570

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიცხვი, რომლებსაც ბინადრობის უფლება აქვთ, 80 000-ს აჭარბებს. ამ არც თუ ისე მსუბუქი სტატისტიკის ფონზე, უცხოელებისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი იცვლება და მნიშვნელოვნად რთულდება. ცვლილების შეტანა "უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონში იგეგმება. კანონპროექტს, რომელიც პარლამენტში უკვე წარდგენილია, თბილისის მერი კახა კალაძე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ კანონში ხარვეზებია და მისი გამოსწორება აუცილებელია.

„ხარვეზი ისაა, რომ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიძენს საქართველოში 35 000 დოლარის ღირებულების უძრავ ქონებას, ის იღებს ერთწლიანი ბინადრობის უფლებას, მაგრამ თუ ამ საკუთრებას გადასცემს სხვას, ისიც მოიპოვებს ბინადრობის მოწმობას. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც ერთი ადამიანი ბინას ყიდულობს, შემდეგ სხვა პირონებებზე ფიქტიურად გადააფორმებს და ისინიც ანალოგიურად იღებენ ბინადრობის უფლებას. ე.წ. კარუსელს ატრიალებენ, რაც ჩვენთვის მიუღებელია“, - განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ერთ-ერთი მოქმედი სქემა, რომელიც უცხოელებს საქართველოში ბინადრობის მიღებას უადვილებს, დევეოლოპერული ხრიკია. უცხოელი ბინას ყიდულობს, ის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ იღებს ბინადრობას, შემდგომ კი ამ ბინას კვლავ უცხოელზე ყიდის. ბინის საყიდლად ჩადებული ინვესტიცია კი ხშირად ე.წ. უცხოური სამაკლერო ან საბროკერო კომპანიების თანხაა, რომელსაც რეალურად ბინადრობის მიღების სანაცვლოდ იღებენ. შესაბამისად, თანხა არ შემოდის ქვეყანაში და, პრაქტიკულად, 1000 დოლარად იღებენ უცხოელები ბინადრობას, ბინადრობის მიღების შემდგომ უცხოელს უძრავი ქონების გაყიდვის შეზღუდვა უნდა დაუწესდეს, ან მსგავსი ინფორმაცია მიგრაციის სამსახურს უნდა მიეწოდოს და მას ბინადრობა შეუწყდეს. ამ გზით კი მივიღებთ იმას, რომ 1 ბინის სანაცვლოდ 20 უცხოელი ვერ

(გაგრძელება გვ.7)

ძალისმიერი სამჭიდის ჩემპიონები

4-5 ოქტომბერს თბილისში ძალისმიერი სამჭიდის მსოფლიო ჩემპიონატი IPSU-ს ვერსიით სხვადასხვა დისციპლინებში გაიმართა. ჩემპიონატში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა კლუბმა და ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების ძლიერმა გუნდებმა მიიღეს.

დედოფლისწყაროს კლუბმა „ლეგიონმა“ ამ შეჯიბრზე 6 სპორტსმენის გამოყვანა შეძლო და ექვსივე სპორტსმენმა უმაღლესი შედეგით დაასრულა ჩემპიონატი - 4 პირველი და 2 მეორე ადგილი. **ნუკრი ქოზაშვილი** – 14 წლის, 62 კგ - ძალისმიერ ორჭიდში 90კგ დაფიქსირა, წოლჭიმში კი 140 კგ ასწია. დაფიქსირდა 150 კგ-ის ამოწევა, მაგრამ ტექნიკური შეცდომა დაუშვა და არ ჩაეთვალა. საერთო შედეგი – 230 კგ აჩვენა და 1 ადგილი მოიპოვა. ასევე პირველ ადგილზე გავიდა **მიშიკო ზუბიაშვილი**-16 წლის, 66 კგ - ძალისმიერ სამჭიდში-ჩაჯდომი-130 კგ, წოლჭიმი -105 კგ და ამოწევა -160 კგ. ძალისმიერ სამჭიდში გამოვიდა **თედო ვარდიშვილიც**-19 წლის,66 კგ, რომელმაც ასევე პირველი ადგილი მოიპოვა - ჩაჯდომი-135 კგ, ჭიმი-90 კგ და ამოწევა-200 კგ. ღირსეულად გამოვიდა კლუბის ძველი ლეგიონერი **გიორგი ქართველიშვილი**- 25 წლის, 86კგ, წოლჭიმის დისციპლინა-210 კგ და ღირსეული პირველი ადგილიც დაიკავა. რაც შეეხება **ვასილ ჩივაძეს** -22 წლის, 64 კგ-დისციპლინა-წოლჭიმი-110 კგ. უნდა ითქვას, რომ დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა ჩვენი მხრიდან, არ მივეცით ვასილ ჩივაძეს 115 კგ, რასაც ის ადვილად ასწევდა და მოწინააღმდეგემაც – 61 კგ კატეგორიაში იგივე წონა 110 კგ ასწია და ვასილიც მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

მონიტორთან მისვლაც შეუძლებელი იყო-სომხების,აზერბაიჯანელების და ირანელების რიგი იდგა.თითქოს დასანანი მეორე ადგილი ავიღეთ, მაგრამ თავი გამოიჩინა ახალბედა **ნიკა მესხმა**-15 წლის, 60 კგ, დისციპლინა-ამოწევა-135 კგ და მეორე ადგილი,რაც ნიკასთვის უდავოდ კარგი შედეგია. სომეხმა მოწინააღმდეგემ-155 კგ ამოწია და აშკარად გამოცდილი სპორტსმენი იყო, ნიკა მხოლოდ 2 თვეა ვარჯიშობს ძალისმიერ სამჭიდში.

დასანანია, რომ ფინანსური პრობლემების გამო მინიმუმ 5 სპორტსმენი გამოაკლდა გუნდს - ანრი ყარაულაშვილი, სერგო პეტროსიანი,ზუკა ნიპომნიშევი და სხვ. მინდა აღვნიშნო, რომ კლუბ „ლეგიონს“ ძალისმიერ სამჭიდში 2017 წლიდან დღემდე 10 მსოფლიო ჩემპიონი, 4-მეორე პრიზიორი და 4-ევროპის ჩემპიონი ჰყავს. აღარ ვსაუბრობთ საქართველოს,საერთაშორისო და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე მიღწეულ წარმატებებზე, როგორც IPSU-ს ასევე IPF ვერსიით. აქედან ყველაზე გამორჩეული ნუკრი ქოზაშვილია - მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონი და თითქმის ყველა სახეობის ტურნირის გამარჯვებული. მძიმე შეჯიბრი იყო, მაგრამ ბიჭები ღირსეულად გამოვიდნენ. ვულოცავ ჩვენს ბიჭებს ამ მიღწევას და წარმატებას ვუსურვებ მომავალ სპორტულ კარიერაში.

მიხეილ სეხნიაშვილი
გუნდის უფროსი მწვრთნელი

უცხოელი მოქალაქეების დამკვიდრება საქართველოში

(მეექვსე გვერდიდან)

მიიღებს ბინადრობას. მიიღებს ერთი და შემოვა რეალური თანხა. უცხოელები ხშირად ქირით ცხოვრობენ. **კომპანია „არსის“ შიდა სტატისტიკით, გაქირავებული ბინების 45% ქართველზე მოდის, 35% - ირანელებზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი სხვა ქვეყნების მოქალაქეა.**

სპეციალისტების განცხადებით, ფინანსური ბარიერის გარდა, უნდა იყოს სხვა მოთხოვნებიც, რის გარეშეც უცხო ქვეყნის მოქალაქე ქვეყანაში 180 დღეზე დიდხანს ცხოვრების უფლებას ვერ მიიღებს. არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო ენის მინიმალურ დონეზე ცოდნის გარეშე არ შეიძლება, ვინმეს 180 დღეზე მეტხანს ცხოვრებისა და მით უფრო საქმიანობის უფლებას აძლევდეს ქვეყანა.

2015-2019 უცხოელებზე რეალიზებული ბინების 42% ირანის მოქალაქეებზე მოდის, 18% რუსებზე, 11% ევროპელებზე, 7% აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონის მოქალაქეებზე, 6% ისრაელზე, 3% თურქეთზე, დანარჩენი წილი კი სხვა ქვეყნებზე. გასულ წელს, უცხოელებზე რეალიზებული ბინების 61% მოდიოდა ირანელებზე, 10% რუსებზე, 4% კი ისრაელის მოქალაქეებზე. თბილისში ბინების შეძენის მსურველ უცხოელთა რიცხვი, მნიშვნელოვნად სწორედ ბოლო ერთი

წელია გაიზარდა. ამ ეტაპზე კომპანიის კლიენტთა 35% სწორედ უცხოელია.

როგორც კომპანია „დავიდე კომპანიაში“ განაცხადეს, გარეუბნებში, უცხოელების დაინტერესება შედარებით ნაკლებია. ამ დროისთვის კომპანია მხოლოდ ვარკეთილში აშენებს საცხოვრებელ კორპუსს და ამბობს, რომ მათი კლიენტების მხოლოდ 20%-ია უცხო ქვეყნის მოქალაქე.

განსაკუთრებული მატება ფიქსირდება ირანის მოქალაქეების მიერ თბილისში შეძენილ ბინებზე: 2015 წელს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომლებმაც თბილისში შეიძინეს ბინები, ირანელების წილი 2% იყო, 2016-ში – 8%, 2017 წელს – 27%, 2018 წელს კი 61%.

კლება შეინიშნება რუსეთის მოქალაქეების მიერ თბილისში ბინების შეძენაზე. 2015 წელს უცხო ქვეყნებიდან თბილისში ბინების შემსყიდველებში მათი წილი 42% იყო, 2016 წელს 32%, 2017 წელს 22%, ხოლო 2018 წელს – 10%.

საინტერესოა ასევე ბინების გაყიდვები უბნების მიხედვით. გაყიდვების მხრივ, სამი პოპულარული უბანია: საბურთალო, დიდი დიღომი და გლდანი. 2019 წლის პირველ ნახევარში, საბურთალოზე გაყიდულმა ბინების რაოდენობამ 3 500-ს გადააჭარბა, რომელთაგანაც უმრავლესობა ახალაშენებული იყო. გაყიდვების მხრივ მეორე ადგილზე მყოფ დიდ დიღომში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაყიდვების მკვეთრი შემცირებაა. სამაგიეროდ, შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა გლდანში, სადაც გაყიდული ბინების რაოდენობა 2 000-ს გადასცდა. აღსანიშნავია ასევე ის, რომ გლდანში გაყიდულ ბინებს შორის, ძველი და ახალი აშენებული ბინების რაოდენობა თითქმის ერთმანეთის ტოლია. რაც

შეეხება სხვა უბნებს, 2019 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაყიდვების რაოდენობით საგრძნობი მატება ჰქონდა ისანსაც, ხოლო ვაკეში, დიდუბესა და კრწანისში გაყიდვების შესამჩნევი ვარდნა დაფიქსირდა.

რაც შეეხება გაყიდული ბინების ფართებს, გარეუბნებში გაყიდული ბინების უმრავლესობა შედარებით პატარა მოცულობის ბინებია. გლდანში, 70 m^2-მდე ფართის ბინებს საერთო რაოდენობის 78% უკავია, ხოლო სამგორში 76%. გლდანსა და სამგორში ყველაზე პოპულარული გაყიდვებით 50 m^2-მდე ფართის ბინებია. ანალოგიური სიტუაციაა ჩუღურეთშიც. საბურთალოზე ყველა ტიპის ბინა მეტნაკლებად მოთხოვნადია, თუმცა გაყიდვების მხრივ 50 m^2-დან 70 m^2-მდე ფართის ბინები მცირედით ლიდერობს. დაახლოებით იგივე სიტუაციაა დიდ დიღომშიც, სადაც ძირითადი აქცენტი პატარა ბინებზე მოდის, გაყიდვების მხრივ კი 50 – 70 m^2-ის ფართოს ბინებია წინ. განსხვავებული ვითარებაა ვაკეში, გარდა იმისა რომ აქ 50 m^2-დან ყველა ტიპის ბინა მოთხოვნადია, დაინტერესება დიდი ფართის მქონე ბინებზეც საკმაოდ მაღალია: გაყიდული ბინების 23% 100 m^2-დან 150 m^2-მდე ფართის ბინებზე მოდის, ხოლო 14% 150 m^2-ზე ზემოთ. მსგავსი სიტუაციაა მთაწმინდაზეც, თუმცა ვაკისგან განსხვავებით, აქ დიდი ფართის ბინების გარდა საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა 50 m^2-მდე ბინებზე, რაც ძირითადად განპირობებულია აღნიშნულ უბანში მაღალი ტურისტული აქტიურობით.

ფასების მხრივ კი ყველაზე ძვირადღირებული უბნები ვაკე, მთაწმინდა და საბურთალოა. ვაკესა და მთაწმინდაზე ახალაშენებული ბინების ფასი 1 m^2-ზე 1000$-მდე ადის, ხოლო საბურთალოზე - 900$-მდე. ყველაზე დაბალფასიანი უბნების სამეულში კი გლდანი, დიდი დიღომი და სამგორი შედიან. აღნიშნულ უბნებში 1 m^2-ის ფასი 600$-მდე მერყეობს როგორც ახალ, ისე ძველაშენებულ ბინებზე.

ინვესტიციები საქართველოში გაზრდილია და ეს ზრდა, მხოლოდ სამ კომპონენტზე დაყრდნობით მოხდა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო სექტორი და მშენებლობა, მათი წილი მთლიან ინვესტიციებში 60%-ს აღემატება. ასე რომ, მშენებლობის დარგი საკმაოდ წარმატებულია, სავარაუდოდ სწორედ იმიტომ, რომ მასში უცხოელების დიდი დაინტერესება ჩანს და სწორედ უცხოელები განაპირობებენ მის ფასსაც, რადგან თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, **„საბანკო სესხების გაცემის სისტემის ანალიზი აშკარას ხდის, რომ რეალურად, მოსახლეობის 70%-ს არ გააჩნია საშუალება, შეიძინოს ახალი საცხოვრებელი ფართი. უძრავი ქონების შეძენა ძირითადად ქართველებისთვის, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულით ან ბანკის სესხებით ხდება შესაძლებელი.“**

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

დარეჯან ყოჩიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია მაისურაძეს დის

ინეზა მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

ღიმილი, უძლურება და სიკეთე

ღიმილის სასარგებლო მხარეებზე თითქმის ყველამ იცის. მომღიმარი ადამიანები უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან, დიდხანს ცოცხლობენ და გარშემომყოფებსაც მსგავსად განაწყობენ. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოში არსებობს მსგავსი - ღიმილის საერთაშორისო დღე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 1999 წელს დაარსდა და დღემდე აღინიშნება.

როგორც წესი, ეს დღე სხვადასხვა ფლეშმობებით (წარმოდგენები,დადგმები)ხვდებიან. ხალხი ღია ცის ქვეშ იკრიბება და „სმაილის“ ფორმებში გამოწყობილები მხიარულ განწყობას ქმნიან, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვებისთვისაც. გარდა ამისა, ოქტომბრის პირველ კვირას, განსაკუთრებულად მისაღებია, მხიარული ფოტოების გადაღება და მათი სოციალურ ქსელებში განთავსება. ამით ადამიანები ცდილობენ სხვებსაც აუმაღლონ განწყობა ანუ იმოქმედონ მსგავსად ჰარვი ბელისა და გაამართლონ ამ დღის ერთ-ერთი დევიზი: **„გააცინე გარშემომყოფებიც“**.

მთელ მსოფლიოში ღიმილის დღეს ოქტომბრის პირველ კვირას აღნიშნავენ. დღესასწაულს საფუძველი ამერიკელმა მხატვარმა, ჰარვი ბელმა დაუდო. მე-20 საუკუნის მხატვრის ნამუშევრები დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა და რომ არა ერთი იღბლიანი შემთხვევა, დღეს ბელი არავის ემახსოვრებოდა.

1963 წელს ბელს სადაზღვევო კომპანიის State Mutual Life Assurance Company of America-ს წარმომადგენლებმა მათი კომპანიისთვის თვალისმომჭრელი ლოგო შეექმნა სთხოვეს. ჰარვის დიდხანს არ უფიქრია, მან ყვითელ რგოლში მომღიმარი შავი პირი და თვალები ჩახატა. ინტერნეტსივრცეში ეს ლოგო "სმაილის" სახელით არის ცნობილი. დამკვეთებს მხატვრის ნამუშევარი მოეწონათ და ბელს 50 აშშ დოლარი გადაუხადეს. რამდენიმე თვეში "სმაილი" მთელ აშშ-ს მოედო. კომპანიის კლიენტები ასეთი ინოვაციით აღფრთოვანებულნი იყვნენ. რამდენიმე თვეში უკვე 10 000 ემბლემა გამოუშვეს. მას მაისურებზე, კონვერტებზე, ასანთის კოლოფებსა თუ ღია ბარათებზე გამოსახავდნენ. აშშ-ის ფოსტამ კი "სმაილის" გამოსახულებიანი მარკაც გამოუშვა.

ღიმილის საერთაშორისო დღე პირველად 1999 წელს აღნიშნეს. მხატვარს მიაჩნდა, რომ ამ დღეს ადამიანები დადებით განწყობაზე უნდა ყოფილიყვნენ და რაც შეიძლება ხშირად გაეღიმათ. ჰარლი ბელს ეს ეამაყებოდა. **„საზოგადოების და ხელოვნების ისტორიაში, არ არსებობდა არც ერთი ნამუშევარი, რომელიც ასე ფართოდ გავრცელდა და ამდენ სიხარულს, ბედნიერებას და სიამოვნებას ანიჭებდა ხალხს. არ არსებოდა ისეთი რამ, რაც ასეთივე მარტივი და გასაგები იყო ყველასათვის!“** - განაცხადა მან თავის ერთ-ერთ ინტერვიუში. ამ დღის დევიზებია : გააკეთე სიკეთე (Do an act of kindness) და გააცინე გარშემომყოფები (Do one person smile)!

სიკეთე კი ძალიან მნიშვნელოვანია. არასდროს გიფიქრიათ რა არის ბოროტება და საიდან ჩნდება ის? ხშირად ვფიქრობთ, გვაწუხებს, მაგრამ არ ვუფიქრდებით საიდან, როგორ, რანაირად ვაწყდებით მას. მოსაზრებაც, რომ ის უძლურებისგან ჩნდება, გარკვეულწილად ახლოა რეალობასთან, თუმცა, მიმაჩნია, რომ ის უფრო გარემოებების, სიღრმისეული და ადამიანური პრობლემების შედეგია.

შეიძლება უმეტესობა თქვენგანი სხვანაირადაც ფიქრობდეს, მაგრამ ჩემი სუბიექტური აზრით გეტყვით, რომ ბოროტებად არ იბადებიან, ბოროტებად ყალიბდებიან. თუ ჩვენ დავუშვებთ, იმას, რომ სიკეთეს თან აუცილებლად ბოროტება ახლავს, მაშინ ის სრულიად ნორმალურ მოვლენად მოგვეჩვენება. სიკეთის ფასის გასაგებად, ხანდახან, მართლაც, საჭიროა, რომ ბოროტებას შევეჩეხოთ, გავიგოთ, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რა გვანიჭებს ბედნიერებას, რა არ ალგვაფრთოვანებს. თუმცა, ხშირად, უძლურები ვართ ეს გავმიჯნოთ. უძლურები ვართ, შევაჩეროთ პრობლემები, უძლურები ვართ შევაჩეროთ ცვლილებები, რომელსაც კარგთან ერთად, ცუდი შედეგებიც მოაქვს.

თუ კი უძლური ხარ, ეს, რა თქმა უნდა , პრობლემაა, მაგრამ ყველანაირ ბოროტებას მარტო ეს არ უდევს საფუძვლად. ბოროტება, სიკეთის ნაკლებობაცაა, იგი მდგომარეობაა და არა არსი. ის არსებობს, როცა მას სჩადიან. ბოროტება ეს ადამიანების არასწორი არჩევანის შედეგია, არასწორი ნაბიჯები, გამოუსწორებელი ქმედებები, რომლებიც, მართალია, ხანდახან უძლურებასთანაც მიდის, მაგრამ პირველწყარო მაინც არაა. მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, რადგან თუკი არსებობს სიკეთე და სიყვარული, აუცილებლად იქნება ბოროტებაც. ნაკლები სიყვარული = მეტ ბოროტებას.

თითქოს ეს ერთი შეხედვით მარტივი ფორმულა, ყველაზე ძნელი შესასრულებელია ცხოვრებაში. ხშირად სწორედ ის გაუძლურებს, როდესაც ბალანსი ირღვევა ამ ფორმულის ორ მხარეს შორის. ადამიანები უძლურებას სწორედ მაშინ გრძნობენ, როდესაც სიყვარულის მხარე იჩაგრება და ირღვევა ერთობა ამ გარემოსა და შესაძლებლობებს შორის.

ბოროტების თემა თავისთავად ამოუწურავია. ადამიანი რამდენადაც ცდილობს უძლურებას დააბრალოს საკუთარი ბნელი მხარეები, იმდენად უფრო ეფლობა გაურკვევლობის ჭაობში. სჯობს მეტი დრო სიყვარულს და სიკეთეს დაუთმოს, ვიდრე იმაზე ფიქრს, რომ უძლურია რაღაც შეცვალოს, რაღაც ახალი გააკეთოს, სხვას შეუქმნას და თავადაც კარგ გარემოში იცხოვროს. მთავარი სწორედ ამ ყველაფრის სწორად გაგებაა. ღიმილი კი ამაში გარკვეულ როლს თამაშობს. მისი საშუალებით ვხვდებით, რომ სითბოს გაზიარებას უფრო სასარგებლო შედეგებამდე მივყავართ, ვიდრე ერთმანეთისადმი მტრობას, შუღლსა თუ ბოროტებას. ბოროტება თავისთავად მავნებლობაა, მავნებლლობა კი არასდროს არის რაიმე კარგის სათავე. **არ დავარღვიოთ ღიმილის დღის დევიზი და „გავაკეთოთ სიკეთე“, ჩვენი სიკეთით კი ერთი ადამიანის გაღიმება მაინც შევძლოთ.**

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ულოცავენ!

ნიკო შანშიაშვილს!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო, ჩვენი ოჯახის ბერმუხავ, გილოცავთ დაბადების 96-ე წლისთავს. იყავ ჯანმრთელი, მხნე და ენერგიით სავსე, ისეთი, როგორც დღეს ხარ. ბედნიერი ხარ, რადგან დიდი ოჯახის თავკაცი უამრავ სიხარულს მოესწარ. ახლაც დაბადების დღის საჩუქარი გაგიკეთა განგებამ – ამ დღეებში შეგეძინა ორი შვილისშვილისშვილისშვილი, ანუ IV თაობის ქალვაჟი – **ლილე მაძღარაშვილი და სანდრო ზედელაშვილი.**

დალოცვილი იყავ შენს შთამომავლობასთან ერთად. დიდხანს გვეგულებოდე ჩვენს საიმედოდ.

სიყვარულით,
შენი ოჯახი.

ნიკო შანშიაშვილს!

ღირსეულო, უანგარო მეგობარო, მუდამ ყურადღებიანო და მზრუნველო ადამიანო, გილოცავთ დაბადების 96 წლისთავს! დიდი შემართებით გაიარე ცხოვრების 96 წელი, ბევრი სასიკეთო საქმე გიკეთებია და უფალს ვთხოვთ, ეს შემართება კიდევ დიდხანს არ მოგაკლდებოდეს. 100 წლის იუბილე მოგველოცოს შენს ნაამაგარ დიდ ოჯახთან, საყვარელი შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების და ახლა უკვე შვიების გარემოცვაში. მუდამ ბედნიერი და გახარებული გვენახე შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გილოცავთ იუბილეს და სვეტიცხოვლობას – 14 ოქტომბერს. ასეთ დღეს დაბადებაც ხომ განსაკუთრებული მადლია. უფალმა კარგად გიმყოფოს შენი ამქვეყნად დარჩენილი მეგობრები. გვიყვარხარ და გვეამაყები.

შენი მეგობარი
ელგუჯა ტუხაშვილი **ოჯახით.**

ულოცავენ!

ლენა ღარიბაშვილს!

ჩვენო საყვარელო ლენა, გილოცავთ დაბადების 70 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ ცხოვრებას და ულევ სიხარულს. ბედნიერი ოჯახი გაქვს, კარგი შვილების გამზრდელი დედა და თბილი და ტკბილი ბებია ხარ. ხარობ მათი სიხარულით და აგერ, კარზე მომდგარ შვილიშვილის ქორწინებას გილოცავთ. ვისურვებდით, გულიკო გონაშვილს და ალექსანდრე ხარაშვილს ტრადიციული, ძლიერი ოჯახი შეექმნათ, გამრავლდნენ და გაიხარონ. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ.

პატივისცემით,
შენი მეგობრები.

ციცო ტუხაშვილს

ქალბატონო ციცო, გილოცავთ დაბადების 70 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, წინსვლასა და ულევ სიხარულს თქვენს საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან და კეთილისმსურველებთან ერთად. თქვენი სიკეთისა და ჰუმანურობის გამო ყველაფერს კარგს იმსახურებთ. კიდევ დიდხანს ემსახურეთ მომავალი თაობების აღზრდას. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებლის თანამშრომლები

საბა ტუხაშვილს!



ჩვენო გონიერო, ნიჭიერო და ჭკვიანო ბიჭო! გილოცავთ დაბადების დღეს. 10 ოქტომბერს ხუთი წლის გახდი, იზრდები და ვაჟკაცდები. მუდამ აქტიური, ცელქი და მიზანდასახული ხარ. ასეთად დარჩი სულ, ბებოს და პაპას იმედო!

ასევე გილოცავთ დაიკოს – სესილიას დაბადებას, რომელმაც გაგვახარა ყველა და შენც მეტად ალერსიანი და მზრუნველი გაგხადა, უფრო გაალამაზა შენი დაბადების დღეც და თვეც.

ორივეს ნათელ მომავალს, უღრუბლო ზეცას, მშობლებისა და ყველა ახლობლის კარგად ყოფნას გისურვებთ. ჯანმრთელობა, ულევი სიხარული და სილაღე ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი. დღე მზემ გინათოთ, ღამე კი – მთვარემ და თქვენი თვალებივით მოციმციმე ვარსკვლავებმა.

ჩვენო ანგელოზებო, უფალი გფარავდეთ მარადჟამს.

უზომო სიყვარულით: თქვენი ბებია
იზო აფციაური, **პაპა** – მურთაზ ნაროზაული

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 14.10		სამშაბათი 15.10		ოთხშაბათი 16.10		ხუთშაბათი 17.10		პარასკევი 18.10		შაბათი 19.10		კვირა 20.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
15 °	13 °	16 °	15 °	16 °	15 °	17 °	16 °	18 °	15 °	13 °	9 °	6 °	5 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.